№ 114 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. სამშაბათი, მაისის 25 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4მან. მე-4 გვ.3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, მაისის 26-ს საქართველოს დამოუკიდებლობის მეორე წლის თავზე სააღლუმო სპექტაკლი პირველად ქართული ორგინალური

ბალეტი 3 მოქმედებათ „შევარდენის“ მონაწილეობით

სიყვარულის ზღაპარი

თ. ვახვახიშვილის მონაწილეობით სახელ. თეატრის გაძლიერებული ბალეტი და საოპერო ხორო. დადგმა ს. ვაკარეცის და ა. წუწუნავასი. 545 1—1

ამიერ-კავკასიის ბანკი

ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 25 მაისს დღის 12 საათზე ბანკის საწყობში, ტამოჟნის ქუჩა № 4, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სხვა და სხვა მანუფაქტურაზე. პირობები გამოცხადებული იქნება საჯარო ვაჭრობის დროს. 1061 3—2

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი იმყოფება

სასახლეში, სადაც კომიტეტის თავმჯდომარე სერ. ჟორჟოლიანი იძლევა ყოველგვარ ცნობებს კომიტეტის მუშაობის შესახებ; იგი ღებულობს ფრონტის საჭიროებისათვის მუშაობის მოსურნე პირთაგან განცხადებებს. აქვე მორიგეობს კომიტეტის წევრი, სასახლეშივე, კომ. მოლარე დიმ. კალანდარიშვილი და საქმის მწარმოებელი გ. ქიქოძე ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებას. ტელ. 3—87, 6—02. 1131 3—3

სახელმწიფო თეატრი
იწვევს სახელმწიფო თეატრში გუნდის მომღერლებს

ქალთა და კაცთ, რომელთაც იციან კითხვა ნოტებისა. ჯამაგირის გარდა მიეცემათ სრული სასურსათო ხვედრი. მსურველთ სთხოვენ ეხლავე ჩაეწერონ სახელმწიფო თეატრის კანტორაში 12 საათ. ნაშუადღ. 2 საათ. და 7—9 საათ. საღამოს. ხმების გასინჯვა მოხდება ამ მოკლე ხანში, რის ცნობაც შეიძლება გაიგოს თეატრის კანტორაში. 3—1 540

გემეგის, სატრანსპორტო და დამზღვევი ამხანაგობა
„კავკასიის ლლოიდ“-ი

გამგეობის ბინა: დონდუკოვო-კორსაკოვის ქუჩა, რუსულ-აზიის ბანკის შენობაში.

ქალაქის საქმედარისოში (სააგენტოში), სავაჭრო ქუჩა, № 10.

იგზავნება გემები დასავლეთ ევროპის და ამერიკის ყველა ნავთ-სადგურებში. დაზღვევა ტვირთისა ხდება როგორც გზაში ისე საწყობებში: ტვირთი ინახება საკუთარ საწყობებში. საქონელი თავისუფლდება ბაჟიდან. ვიღებთ საკომისიო საქმეების ასრულებას. უახლოეს დროში გემები გავლენ:

გემი „ალბანია“ იტალიის ალამით სტამბოლში, პირეტში, ნეაპოლში, გენუაში.

მიიღება ყოველივე ტვირთი და წამსვლელნი, I, II და III კლასში. გადის გემი პარასკევს, 21 მაისს. გადის გემი «Tirreno» იტალიის ალამით სტამბოლში, მარსელში, გენუაში გადის ტვირთების საოპერაციო საქმეების დამთავრებისას. ტვირთი, რომელიც იგზავნება ჩვენი გემებით, მიიღება შესანახად დატვირთამდე ჩვენ საწყობებში განსაკუთრებულ შელავათიან პირობებში. ცნობების მიღება შეიძლება: გრაფის ქუჩა, ივანე კონსტან. კაუხჩიშვილთან 11—12 საათამდე. 1174 1—1

დაახლოებით 25 მაისს სუხუმში ვაპირებთ გაგზავნას დიდი

სატვირთო გემის იტალიის ერ. ალამით.

დაწესებულებათა და კერძო პირთ, რომელთაც სურთ დატვირთონ სუხუმში გემი დასავლეთ ევროპის ნავთსადგურისათვის, შეუძლიანთ ყოველივე ცნობები მიიღონ გემების, სატრანსპორტო და დამზღვევ ამხანაგობის გამგეობაში. „კავკასიის ლლოიდ“-ი.

ქალაქ ბათომი: დონდუკოვო-კორსაკოვის ქუჩა, რუსულ-აზიის ბანკის შენობაში და ქალაქის საქმედარისოში (სააგენტოში). სავაჭრო ქუჩა № 10.

ტფილისში ცნობების მიღება შეიძლება: გრაფის ქუჩა № 2. ივ. კონსტ. კაუხჩიშვილთან 11—12 საათამდე. 1174 1—1

შრომის სამინისტროსაგან

თანახმად სატარიფო პალატის 21 მაისის დადგენილებისა, ყველა დამქირავებელმა (საზოგადო და კერძომ) ვისი მუშები და მოსამსახურეებიც კი სარგებლობდენ სახელმწიფო მომარაგების ფონდით, დაუყონებლივ შემოატანონ ახალი გადასახადი 1000 მას. თვითეულ კაცზე არა უგვიანეს 1 ივნისისა.

თუ პირველ ივნისამდი არ იქნება წარმოდგენილი გადასახადი, შემდეგ ამისა სურსათი არ მიეცემათ.

ფული შემოტანილ უნდა იქნეს ტფილისის ხაზინაში № 139185 ანგარიშით და კვიტანცია დაუყონებლივ წარედგინოს სამინისტროს მუშათა მაგიდას. 542 2—1

შრომის სამინისტროს

ყველა კომისრებს და რწმუნებულებს, მუშათა და ხამუშაოს მიმცემთა ორგანიზაციებს, სამომრიგებლო კამერებს.

შრომის სამინისტრო ამით განმარტავს, რომ 1918 წ. 14 იანვრის დებულების მე-12 მუხ. თანახმათ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან მათზე დამოუკიდებელ მიზეზების გამო და **ორი კვირით ადრე არ იქნებიან გაფრთხილებულნი**, უფლება აქვთ მიიღონ გარდა სალიკვიდაციოსა, ორი კვირის ჯამაგირი გაუფრფხილებლობისათვის.

ამასთანავე მხედველობაში მისაღებია, რომ 1918 წ. 14 იანვრის დებულ. ვრცელდება მხოლოდ საწარმოებზე და დაწესებულებებზე კი გავრცელდება უკანასკნელთა შეთანხმებით.

543 1—1 შრომის მინისტრის მაგიერ მისი ამხანაგი ა. ბახტაძე.

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრისა.

18 მაისი, 1920 წ., № 147.

დაევალოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის თავმჯდომარის ამხანაგობა სამოქალაქო სამართლის ნაწილისათვის ნაფიც ვექილს სერგი დავითის ძე ჯაფარიძეს ამა წლის მაისის 19-დან.

18 მაისი, 1920 წ., № 148.

დაინიშნოს თანახმად თავისი თხოვნისა იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის თავმჯდომარის ამხანაგად სისხლის სამართლის ნაწილისათვის სასამართლო პალატის წევრი ლეონიდ ალექსის ძე კრასნიხი ამა წლის მაისის 19-დან.

18 მაისი, 1920 წ., № 149.

დაინიშნოს თანახმად თხოვნისა იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის წევრად ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ევგენი ვასილის ძე ჩემესოვი ამა წლის მაისის 19-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

—

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

18 მაისი, 1920 წ., № 146.

თანახმად რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის აპრილის 8-ს დადგენილებისა დაინიშნოს სამხედრო სასამართლოს თანამდებობაზე კანდიდატად საპროკურორო ზედამხედველობასთან პროკურორის მდივანი ვლადიმერ სვიმონიშვილი ამა წლის მაისის 18-დან, იმ პირობით, რომ მას ევალება $^1/_2$ წლის განმავლობაშ ჩააბაროს სათანადო გამოცდა გამომცდელ კომისიაში.

18 მაისი, 1920 წ., № 150.

დაინიშნოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის მდივნად ტფილისის ოლქის სასამართლოსთან მყოფი სასამართლოს თანამდებობათა უფროსი კანდიდატი მიხეილ პეტრეს ძე ლიხტგეიმი ამა წლის მაისის 19-დან.

დეპარტამენტის დირექტორი

გ. ჟორდანია.

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

5 მაისი, 1920 წ., № 159.

დანიშნულ იქმნას დროებით სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის მოლარის თანაშემწედ გიორგი ივანეს ძე ჯაფარიძე ამა წლის 3 მაისიდან.

27 აპრილი, 1920 წ., № 150.

დაინიშნოს სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლად ნესტორ გრიგოლის ძე ღამბარაშვილი ამა წლის 23 აპრილიდან.

27 აპრილი, 1920 წ. № 151.

განთავისუფლებულ იქნას: ვრთი კვირის ვადით სამსახურის მოვალეობის აღსრულებისაგან საკრედიტო განყოფილების უფროსი სვიმონ არქიპოს ძე ჟორჟოლაძე ამა წლის 27 აპრილიდან.

27 აპრილი, 1920 წ., № 152.

დაინიშნოს: ახალციხის მაზრის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ ფელიკს ნიკოლოზის ძე ბუტკოვსკი ამა წლის 26 აპრილიდან.

27 აპრილი, 1920 წ., № 153.

დაინიშნოს: ქ. ტფილისის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ ვლადიმერ გრიგოლის ძე კობახიძე ამა წლის 26 აპრილიდან.

27 აპრილი, 1920 წ., № 154.

დაინიშნოს: სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის მოლარის თანაშემწეთ ვასილ გიორგის ძე ამილახვარი ამა წლის 19 აპრილიდან.

27 აპრილი, 1920 წ., № 155.

დათხოვნილ იქნეს: სრულიად სამსახურიდან ახალქალაქის ხაზინის უფროსი ბუხჰალტერი ეფრემ მარტინის ძე ტერ-გრიგორიანცი, როგორც სამსახურისთვის არა სასარგებლო პირი ამა წლის პირველ მაისიდან.

ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი **ხ. ავალიანი.**

—

გზათა დეპარტამენტის.

19 მაისი, 1920 წ., № 57.

მტკიცდება: მე-4-ე დისტანციის უფროსი ინჟენერი ჯაში პირველი დისტანციის უფროსათ დისტანციის უფროსის უმაღლესი ხარისხის ჯამაგირით 15 ამა მაისიდან.

გზათა დეპ. დირექტ. **ჭიჭინაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

მულინისეული მამული.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს განზრახული აქვს იჯარით გასცეს ტფილისის მაზრის სოფ. გომბორში მდებარე მულინისეული სახელმწიფო მამული რვა წლის ვადით; ხსენებული მამული საინტერესოა თავის მაღალ მდებარეობით რის გამო შესაძლებელია მრავალი საყურადღებო დაკვირვებათა და ცდების წარმოება.

გადასახლებულთათვის სესხით დახმარების აღმოჩენა.

გადასახლება მიწათ-მოქმედების სამინისტრომ დაიწყო 1918 წლის მეორე ნახევარში. ამ მიზნით მიწ.-მოქ. სამინისტროს ჰქონდა დამფუძნებელ კრების 20 ივლისის 1919 წლ. დეკრეტით 5 მილიონი თანხა. ამ ფულიდან გადასახლებულთ დასახმარებლად ეძლეოდათ უსარგებლო სესხი. წარსულ წელს სამინისტრო აწარმოებდა გადასახლებას ლაგოდეხის რაიონში. შემდეგ ეს საქმე გაფართოვებულ იქნა და დაიწყო გადასახლება შემდეგ რაიონებში: ახალქალაქის, ბორჩალოს და ტფილისის მაზრის ყარაიაზის რაიონში. ამის გარდა სამინისტრომ ხელი მიჰყო საგადასახლებო ფონდის გამოკვლევას ბორჩალოს, ახალქალაქის, სიღნაღის, თელავის და გორის მაზრებში. გორის მაზრაში გამოკვლეულია 1013 დესეტინა, ტფილისის მაზრაში 9.607 დეს., თელავის მაზრაში 3 547 დეს., სიღნაღის—2,652 დეს., ბორჩალოს მაზ. 2,635 დ., ახალქალაქის მაზ. 9087 დეს. სულ 25.542 დეს. ამ სივრცეზე დაეტევა დაახლოებით 2.200 კომლამდე ან 2.300. სამინისტრომ კვე მოახერხა ლაგოდეხის რაიონში შვიდი სოფლის დასახლება, რომელიც შესდგება 1239 კომლისგან, უჭირავს 7065 დესეტინა, ყარაიაზის რაიონში სამი სოფელი—211 კომლი, უჭირავს 1200 დეს., ტფ. მაზ. 4 სოფელი 206 კომლი, 1092 დესეტინაზე, გორის მაზრაში ერთი სოფელი 24 კომლი 449 დესეტინაზე. თელავის მაზრაში სამი სოფელი 92 კომლი 491 დესეტინაზე; თიანეთის მაზრაში ერთი სოფელი 11 კომლი 83 დესეტინაზე; სიღნაღის მაზრაში ერთი სოფელი 80 კომლი, $13^1/_2$ დესეტინაზე; ბორჩალოს რაი ერთი სოფელი 24 კომლი, 165 დესეტინაზე; ახალქალაქის რაიონში ორი სოფელი 285 კომლი 2183 დესეტინაზე—სულ ოცდა სამი სოფელი 2072 კომლი 12745 დესეტინაზე. ამ გადასახლებულებში 534 იმერელი და რაჭველია 263 ლტოლვილი ალაგირელი; 502 ქიზიყელი, 120 ოსი, 32 ჯავახელი, 245 ქართველი, 120 მოხევე, 96 ფშაველი, 72 ხევსური, 80 კახელი და 12 გერმანელი. ჯერ-ჯერობით სამინისტრომ სულ დახარჯა 5273275 მანეთი. ამდენ ხანს გადასახლებულებს ეძლეოდათ ორი დესეტინა მიწა სათესლე სამეურნეო იარაღებით, ერთი გუთანი ხუთ კომლზე, მოსაჭრელი ტყის მასალა და აგრეთვე გადაყვანის ხარჯიც. შემდეგში უწყება ფიქრობს დახმარება გაუწიოს თვითეულ ოჯახზე ახალქალაქის მაზრაში ბარგის გადასაზიდა-

მაისის 29 და 30-ს ფრონტის დღეა

ვად თითო ოჯახს 2000 მან., შენობის ასაგებად 10 ათასი მან. ერთი უღელი ხარი, ერთი ურემი ოჯახზე ფარცხი, გუთანი და სამეურნეო იარაღები. სულ თითო კომლზე განზრახულია 67500 მან. მიცემა. ამ მაზრაში განზრახულია 400 კომლის გადასახლება, ყარაიაზის რაიონში 200 კომლის დასახლება თითო კომლზე 4400 მან- მიცემა. ამნაირათ მომავალ წლისათვის საჭიროა 36,300 ათასი მან. რის შესახებ მიწათ-მოქმ. სამინ. შუამდგომლობს მთავრობის წინაშე.

შინაგან საქ. სამინისტროში

საექიმო პერსონალის რეგისტრაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილება ამით აცხადებს, რომ საექიმო პერსონალის რეგისტრაციის ვადა გაგრძელებულია ა. წ. 10 ივნისამდე. სარეგისტრაციოთ უნდა გამოცხადდენ როგორც სხვა და სხვა უწყებებში მოსამსახურენი აგრეთვე ისინიც, ვინც არა მსახურობენ. ექიმები, ექიმის თანაშემწეები, ბებია-ქალები, ყველა კბილის ექიმები და აგრეთვე აფთიაქის და საფთიაქო საწყობის პატრონები და ფარმაცევტები.

რეგისტრაცია სწარმოებს ქ. თბილისში მცხოვრებთათვის განყოფილებაში (ქსენიევის ქუჩა № 10) ყოველ დღე დილის 12—3 საათამდე, მაზრებში—მაზრის ექიმებთან, ხოლო ქალაქებში—საქალაქო ექიმებთან. საექიმო-სასანიტარო განყოფილება ამასთანავე დასძენს, რომ ახალ სიის შედგენის შემდეგ ძველი რუსეთის საექიმო სია კარგავს ძალას და ვინც არ გამოცხადდება სარეგისტრაციოდ მათზე გავრცელებულ იქნება საექიმო წესდების 224—225 და 389 მუხლები.

ომი ჯერ არ გათავებულა.
ფრონტის დახმარება არ შეამციროთ.

26-ს მაისისათვის

საყოველთაოდ ცხადდება შემდეგი:

26 მაისს დილით 7 საათზე ქალაქს საყვირით დაივლიან მებუკენი დღესასწაულის საცნობად.

9 საათისთვის დღესასწაულში მონაწილენი თავს იყრიან თავისუფლების მოედანზე შემდეგი წესით:

სოლოლაკის ქუჩით ჩამოდგებიან შევარდნები, ბოი-სკაუტები და მოსწავლე ახალგაზდობა. პუშკინის ქუჩით პროფესიონალური კავშირები. სიონის ქუჩით ამქრები. ველიამინოვის ქუჩით კოოპერატივები და სხვა სოციალურ-ეკონომიურ ხასიათის ორგანიზაციები. განოვის ქუჩით ქალთა, მასწავლებელთა და სხვა ინტელიგენტურ პროფესიის წარმომადგენელნი. ლორის-მელიქოვის ქუჩით სასოფლო მეურნეობის და ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელნი.

სრულს 10 საათზე არსენალიდან გაისვრიან შვიდჯერ ზარბაზანს და შემდეგ ამისა თავისუფლების მოედნიდან დაიძვრის პროცესია შემდეგი წესით: ა) შევარდენი, ბ) ბოი-სკაუტები, გ) მოსწავლე ახალგაზდობა, დ) ქალთა, მასწავლებელთა და სხვა ინტელიგენტური პროფესიის წარმომადგენელნი, ე) პროფესიონალური კავშირები, ვ) კოოპერატივები და სხვა სოციალურ-ეკონომიური ხასიათის საზოგადოებანი, ზ) ამქრები, თ) სასოფლო მეურნეობისა და ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელნი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1) თვითეულ ორგანიზაციას წინ წაუძღვება 6 თავისი მორთული ავტომობილი და დროშები, ორკესტრი და ხოროები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 2) სასტიკად დაცული უნდა იქმნას შემდეგი წესი: რიგი-რიგს უნდა მისდევდეს უსათუოდ სამი ნაბიჯის დაშორებით, ხოლო მორთული ავტომობილები, ორკესტრები და ხოროები სამ-სამი საჟენით უნდა იყვნენ დაცილებულნი, როგორც წინ, ისე უკან მიმავალი.

3) პროცესია გაივლის თავისუფლების მოედნიდან დამფუძნებელი კრების ქუჩით, რუსთაველის პროსპექტით, 26 მაისის ქუჩით, წყნეთის ქუჩით და გაემართება პირდაპირ ვაკის პროსპექტით სტადიონისაკენ, სადაც დღესასწაული დაიწყება სრულ 12 საათზე ეროვნული ჰიმნით.

სტადიონზე თვითეულ დღესასწაულში მონაწილე ორგანიზაციისათვის წინასწარ დანიშნულია ადგილი, რომლის შესახებ ცნობა დღესასწაულის გამგისაგან უნდა მიიღოს წინასწარ, არა უგვიანეს 25 მაისის 12 საათისა თვითონ ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

ყველა ნაჩვენები ქუჩა, სადაც კორტეჟი გაივლის შეკრული იქნება და არავის (არც კერძო პირებს და არც რომელიმე ორგანიზაციას) არა აქვს უფლება გზაში შეუერთდენ პროცესიას. ყველენი წინასწარ დანიშნულ საათზე უნდა გამოცხადდენ თავისუფლების მოედანზე და იქ დაიჭირონ თავიანთი ადგილი, ან შეერთდენ რომელიმე ორგანიზაციასთან.

დღესასწაულის პროგრამმა ცალკე გამოცხადდება.

სადღესასწაულო კომისია.

—

დღესასწაულის მომწყობ კომისიას სასურველად მიაჩნია, რომ მოქალაქეთაც იქონიონ თავიანთ ავტომობილებსა, ურმებსა და ეტლებზე ყოველგვარი ყვავილები ქაღალდისა და ცოცხ.).

ყველა სასწავლებლები მასწავლებელ-მოწაფეებით იკრიბებიან ქალთა მეშვიდე გიმნაზიასთან და შემდეგ, როცა პეტრე დიდის ქუჩით გაემართება შევარ დენი, უნივერსიტეტის სტუდენტობა, მათ გაჰყვებიან ეს სასწავლებლებიც და თავისუ-ფლების მოედანს მოექცევიან განოვის ქუჩიდან.

დამზადდა სადღესასწაულო ნიშნები და სურათები და ერთობლივ მათი ყიდვა შეუძლიათ ორგანიზაციათ და დაწესებულებათ (აგრეთვე პროვინციელთ) სასახლეში, ხელოვნების კომისიაში.

სადღესასწაულო კომისიამ წესრიგის დაცვისათვის აირჩია გამგენი თავისუფლების მოედნის, კორტეჟის გასავლელ ქუჩების და სტადიონისათვის. გამგეთ დაექვემდებარებიან სხვა და სხვა საპატიო პირნი და აგრეთვე ასი სტუდენტი და ორასი მოქალაქე შესაფერისი ნიშნებით.

მეეტლეთა კავშირი იდგება ლორის-მელიქოვის ქუჩით.

ომი ტოვებს დასახიჩრებულთა, დაჭრილთა და ქვრივ-ობოლთა, რომელთაც პატრონობა უნდა.

ფრონტის დახმარე მთავარ კომიტეტში

ტფილისის მოსწავლე ახალგაზრდობისაგან ფრონტზე გასაგზავნათ დამზადებულ საჩუქრების მთავარ კომიტეტის საწყობებში გუშინდელ დღეს მიღებამ მოლოდინს გადააჭარბა.

არ დარჩენილა არც ერთი სასწავლებელი არც ერთ ეროვნებისა, რომ პაწია მოქალაქეთ სიყვარულით გამზადებული ჩანთა არ მოეტანა თავისი ხელით.თ ჩანთები იყო არა მასწავლებელთაგანაც. მაგ. ბ-ნ ესტატე მაჩაბელმა წარმოადგინა მრავალი საჩუქარი და 50 დამზადებული ჩანთა.

მთავარმა კომიტეტმა, პაწია „შურას“ წინადადებით, რომელმაც პირველი თანხა შემოიტანა—დაარსა „ანდრეიკა ჟორდანიას“ სახელობის ფონდი, რისთვისაც კომიტეტმა გადასდო 50000 მან., რომელიც სხვა თანხასთან ერთად გადაეცემა „დედობისა და ბავშვთა დაცვის“ საზოგადოებას ომში დაღუპულ ობოლთა გასაზრდელად.

კომიტეტს მოსდის მრავალი შემოწირულებანი.

მეორე ქართულმა კლუბმა, საერთაშორისო კლუბმა, ბაღმა „მერცხალმა“ და ცირკმა „კრისტენსმა“ ერთი დღის შემოსავალი გადასდო ფრონტისთვის.

ყველა ორგანიზაციებს დაეგზავნა თხოვნა შეუდგნენ 29 და 30 მაისს „ფრონტის დღეების“ სამზადისს.

ვაჭრობა-მრეწველობის პალატის პირველი საჩუქრების ტრანსპორტი ფრონტზე იგზავნება დღეს, 25 მაისს.

კომიტეტი სთხოვს ყველა ორგანიზაციებს, რომელთაც კომიტეტის შეუკითხავათ და დაუხმარებლათ ფრონტზე გაგზავნეს საჩუქრები—აცნობონ რა მიმართულებით და რა საჩუქრები გაეგზავნა ფრონტს, რომ არ მოხდეს საჩუქრების ერთ ადგილს დაგროვება და მეორე ნაწილი არ დარჩეს დაუკმაყოფილებელი.

მთავარ კომიტეტმა ტრანსპორტის საქმის მოსაწესრიგებლად მოიწვია ამა საქმის მცოდნე ბ-ნი თულაშვილი, რომელთანაც სასახლეში შეიძლება ცნობების მიღება.

შემოწირულებათა მიღებამ რომ არ მიიღოს არა სასურველი ხასიათი—ყველა შეგროვილი თანხები უნდა გადაეცეს კომიტეტის ბუხჰალტერს ბ-ნ კალანდარიშვილს სასახლეში.

ნამდვილი ზავი მაშინ იქნება, როცა მტერი იგრძობს, რომ მოწინააღმდეგე ერთსულოვანი და შეუდრეკილია.

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ბალშევიკების ჯარების გაწვევა.

მოსკოვი, 23 მაისი. სამხედრო შტაბის ცნობები. 22 მაისს ბორისოვის რაიონში ჩვენმა ჯარებმა ბორისოვის აღმოსავლეთით 8—10 ვერსტზე სოფელთა მთელი წყება დაიკავეს. იგუმენის მიმართულებით შეტევის განვითარების დროს ჩვენი ნაწილები გამოვიდენ სოფლების ხაზზე იგუმენის ჩრდილო-აღმოსავლეთით 20-სა და აღმოსავლეთით 15 ვერსტზე, სადაც დაიკავეს დაბა ბოგუშევიჩი და ბოდინო. ბოდინოსთან ხელთ ვიგდეთ სამი ზარბაზანი. ბობრუისკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს დაბა ლიუბონიჩი. ულბიმოზირის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება მდ. ბერეზინის ჩრდილოეთით. კიევის რაიონში სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. კანევისა და ტარაშჩის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა განავითარეს შეტევა და კანევის დასავლეთით 25 ვერსტზე მდებარე სოფელთა ხაზი დაიკავეს. ზვენიგოროდსკის რაიონში ჩვენი ჯარები ზვენიგოროდსკის ჩრდილო-დასავლეთით 35 ვერსტზე ბრძოლას აწარმოებენ. 18 მაისს ცოტა ხნის სროლის შემდეგ ჩვენმა მეზღვაურთა დესანტმა ქალ. ენზელი დაიკავა. შრომის მთავარი კომიტეტის დადგენილებით წითელი ჯარიდან გამოწვეულნი და სამრეწველოებში სამუშაოთ დანიშნულნი, როგორც კი სამუშაოზე მივლენ დაუყონებლივ დაკმაყოფილებულნი უნდა იქნენ სურსათ-სანოვაგით- მათთვის წინასწარ უნდა მომზადდეს ბინა. სამხ. რევ. საბჭოს ბრძანების თანახმად ისინი უნდა გაათანასწორონ სათანადო წარმოების მუშებთან. პროფესიის უცოდინარობის შემთხვევებში ისინი სამუშაოთ ინიშნებიან, როგორც შავი მუშანი. სიმულიაცია განხილული იქნება როგორც დეზერტირობა. ეს დადგენილება სავსებით გამოქვეყნებულია დ. ც. ა. კ. 23 მაისი „იზვესტიაში“.

ჩიჩერინის პასუხი სპარსეთს.

საგარეო საქმეთა სამხედრო კომისარმა ჩიჩერინმა 20 მაისს სპარსეთის მთავრობის მიერ გამოგზავნილ ნოტაზე სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი უპასუხა: „საბჭოთა მთავრობა გულწრფელად მიესალმება თეირანის მთავრობის გადაწყვეტილებას მოსკოვში დიპლომატიურ მისიის გაგზავნის შესახებ მუდმივი დიპლომატიური დამოკიდებულობის დასამყარებლად. საბჭოთა მთავრობა მზად არის დაუყონებლივ აღადგინოს სპარსეთთან საფოსტო და სატელეგრაფო დამოკიდებულება, რომელიც ჩვენდა უნებურად მოხდა. საბჭოთა მთავრობამ მისწერა მთავრობის პირთ მოსკოვში მომავალ სპარსეთის მისიას მიანიჭონ ყველა უპირატესობა დიპლომატიურ წარმომადგენლობისა. მაგრამ ეხლა, როდესაც სპარსეთის მთავრობას სურს მეგობრული დამოკიდებულება დაამყაროს მუშაოა და გლეხთა რუსეთთან, საბჭოთა მთავრობა ისურვებდა მიეღო მისგან განსაზღვრული გარანტიები იმისა, რომ თეირანში მყოფი რუსეთის ახალი წარმომადგენლები და სპარსეთში მყოფი ჩვენი საკონსულო წარმომადგენლები უზრუნველყოფილი იქნებიან სათანადო დაცვით და განთავისუფლებული იქნებიან ჯერ კიდევ სპარსეთის ტერიტორიაზე მყოფ უცხო ჯარების ძალადობისაგან.

ფრანგული პრესა.

სტოკჰოლმში მყოფმა საფრანგეთის სავაჭრო პალატამ თავისი არსებობის წლისთავი იდღესასწაულა.

მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელსაც მეფე თავმჯდომარეობდა, დატომ განაცხადა: მე ბედნიერი ვარ, რომ მადრიდში საფრანგეთ-იაპონიის დაახლოვების კომიტეტის წევრებს ვუყურებო. ჩემი სურვილია, დაუმატა მან, რომ მოლაპარაკებებმა, რომელიც საფრანგეთის კვირაში პარიზისა და მადრიდის კომიტეტთა შორის მოხდება, მჭიდროთ შეაკავშიროს ორივე ერი.

პოლონეთის მთავარი შტაბის ცნობა. 20 მაისი. ზემო ბერეზინის სექტორში მტერი ახალი ძალების დახმარებით განაგრძობს ძლიერ იერიშებს. მიუხედავათ ძლიერი ძალებისა, რომელსაც მესამე დივიზიაზე იერიშები მოქონდა, დივიზიამ არა თუ არ დაკარგა თავისი პოზიცია, არამედ გადავიდა კონტრშეტევაზე და მტერი ძლიერ დააზარალა.

ყირიმის დელეგატებმა ხალხთა ლიგის გენერალურ სეკრეტარიატს თხოვნით მიმართეს, რათა მანდატი ყირიმზე პოლონეთს გადაეცეს.

პარასკევს, საგარეო საქმეთა სამინისტროში, შეიკრიბა ელჩთა საბჭო ერიულ კომბონის თავმჯდომარეობით. სხდომას დაესწრო მარშალი ფოში. პირველ რიგში საბჭომ დაიწყო სხვა და სხვა საკითხის განხილვა, რომელიც ალენშტეინისა და მარიენვერდერის ოლქების პლებისციტს შეეხებოდა. საბჭომ დაამზადა გერმანიისა და პოლონეთის ნოტის პასუხები, პლებისციტის ვადის შესახებ. ვადა ჯერ ნამდვილად აღნიშნული არ არის. შემდეგ, საბჭომ მოიწონა დროებითი კონვენცია პოლონეთის მთავრობასა და დანციგის ტერიტორიის შუა, რომელიც 23 აპრილს გატარდა და რომელიც საბაჟო უფლებებსა ტ რკინის გზის ტარიფს ეხება. შემდეგ საბჭომ განიხილა დანციგდან და მემელიდან გადმოსახლებულთა მდგომარეობა და მიიღო ზოგიერთი გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ.

პოლონეთი და საბჭოთა რუსეთი.

პოლონეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ 23 აპრილის შეთანხმება, რომელიც ელჩთა საბჭომ დაამტკიცა, იქნება პირველი აღსანიშნავი ნაბიჯი პოლონეთსა და დანციგის შორის თანამშრომლობისა და უზრუნველჰყოფს, რომ პოლონეთს ექნეს ზღვისკენ გასავალი, რომელიც ამავე დროს დამოკიდებულია ქალაქის კონსტიტუციასა და კონვენციაზე, რომელიც ქალაქსა და პოლონეთს შორის უნდა მოხდეს. პოლონეთის მთავრობა დაკმაყოფილებული იქნება, თუ ორივე ეს პირობა მოკლე დროში აღსრულდა. პოლონეთის მთავრობა ფიქრობს, რომ პასპორტებისა, საბაჟოებისა, რკინის გზებისა, ფოსტისა და ტელეგრაფის შესახებ დროებითი შეთანხმება აუცილებელი იყო.

ბონარლოს განცხადება.

პრესას მოჰყავს განცხადება, რომელიც გუშინ თემთა პალატაში ბონარლომ მაისის კონფერენციის შედეგების შესახებ გააკეთა. ინგლისის მინისტრმა განაცხადა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობის მიზანი იყო არა ზარალის ანაზღაურების ციფრის ნამდვილი აღნიშვნა, არამედ უბრალო სურვილი მოლაპარაკებისა, რომ შეძლებოდათ გაეყოთ საქმე და პასუხი მიეცათ ყოველ წინადადებაზე, რომელსაც გერმანია შეიტანდა ამ საგნის შესახებ, თუნდაც ვერსალის ხელშეკრულების პირობების თანახმად.

მუსტაფა ქემალის განცხადება.

როგორც გადმოქვცემენ, მუსტაფა ქემალმა საზავო კონფერენციას მიმართა ნოტით, სადაც აცხადებს, რომ მისი მთავრობა სავალდებულოთ არა სთვლის კონსტონტინოპოლის შეთანხმების აღსრულებას. კონსტონტინეპოლის მთავრობამ თითქოს უნდა ეთქვას მას, ჩვენი ქვეყნის თვალში ყოველივე ავტორიტეტი დაკარგაო.

ენზელის ოკუპაცია.

სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გვაუწყა, რომ 18 მაისს ბოლშევიკებმა ენზელს შეუტიესო. სპარსეთის მთავრობა პროტესტს აცხადებს ენზელის ოკუპაციისა და შეტევის გამო მაშინ, როდესაც დენიკინის ჯარი გაანიარაღებულია. გაზეთს შეუტყვია, რომ სპარსეთი ხალხთა ლიგის აღმასრულებელ კომიტეტის ყურადღებას აქცევსო.

ხალხთა ლიგის საბჭოში.

ჟენევიდან ლონდონში გაგზავნილი დეპეშა

ყველა, ყველაფერი ფრონტისთვის

იუწყება: ხალხთა ლიგის საბჭო გუსტაკ ადროს საერთაშორისო ფინანსიურ კონგრესის თავმჯდომარედ დანიშნავსო. ეს კონგრესი შესდგება ბრიუსელში სპის კონფერენციის შემდეგ. „ეკლერის“ ცნობის თანახმად ხალხთა ლიგის საბჭომ მიმართა დეპეშით ვილსონს, რომ მან საერთო ყრილობა მომავალ ნოემბერში მოიწვიოს.

ოსმალეთი და მოკავშირეთა ჯარები.

გაზეთ „მატენ“-ს კონსტანტინეპოლიდან დეპეშით აუწყებენ: ნაციონალისტების მოქმედების გაძლიერების გამო საფრანგეთის ახალშენების ჯარი კონსტანტინეპოლის გარნიზონიდან კილიკიაში გაიგზავნა. იგივე გაზეთი იუწყება, რომ ინგლისის ჯარმა დაიჭირა ოსმალეთის მეორე საზღვარი ჩატალჯაში.

ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა.

გადმოგვცემენ, რომ მუსტაფამ, ლენინმა და ტროცკიმ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც ენვერ-ფაშას მიერ მიღწეულ ხელშეკრულების დამატებას წარმოადგენს.

გერმანიის ეროვნული ყრილობის სხდომები დასრულდა. როგორც სჩანს საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად უყურებს ყოველგვარ სამხედრო კომპანიას, განსაკუთრებით ისეთს, რომელიც შეიძლება დაწყებულ იქნას როგორც პროტესტი რეინზე ფერადი ჯარის ყოფნის გამო.

დროებითი ზავი არ ნიშნავს შერიგებას, არ ნიშნავს მკვიდრ მშვიდობიანობის დამყარებას.

საქართველოს მიჯნები საინგილოს მხრივ.

„ძველ საქართველოს“ მეორე ტომში 1910 წელს დაიბეჭდა ჩემი საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა „საინგილო“. მასში ცხადად ნაჩვენებია საქართველოს ამ მხრის ეთნოგრაფიული და ისტორიული მიჯნები.

ეთნოგრაფიული მიჯნა დღეს ჩაჰყვება კავკასიონიდან გამომდინარე კოშკის-წყალს ალაზნამდე, და ეს მიჯნა სოფელ კახს შორავს 4 ვერსით. იმას იქით იწყება ნუხის მაზრა. უწინ კი მთელი ნუხის მაზრა ვართაშენს იქით ყაბალამდე ეკუთვნოდა საქართველოს და ამ ყაბალა-ხილხალს დაიწყებოდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიჯნა.

ამ მიჯნის შესახებ ხსენებულს ჩემს გამოკვლევაში (საინგ. 34—35) სწერია:

ვართაშენი ნუხს შორავს 30 ვერსით. იგი უდების უმთავრესი სოფელია. მისვე ახლოს არის შესანიშნავი სიმაგრეები:

ხალხ ლი (ხილხალი) და **ყაბალ**ა. ამ უკანასკნელს სტრაბონი იხსენებს ალბანიის დედაქალაქად. ერთდროს ყაბალა ეპყრა შირვანის მთავარს, მაგრამ 1120 წელს საინგილოს სოფელ ლანუხს (გეჯნუგს) ჩამოდგა დავით აღმაშენებელი და აქედან მიესია შირვანს და აიღო ყაბალა. არაბელ-სპარსელი მწერლები ყაბალაში უჩვენებენ ქართველ მთავარს 1221—1222 წ. ყაბალას ქართველ მთავარს შემოებრძოლნენ ყიფჩაღნი. დარუბანდის და განჯის მფლობელების დახმარებით დაამარცხეს, მაგრამ მერე ქართველებმა დიდი ზიანი მიაყენეს მათ და უკუქცეს (Journal Asiatique, 1897, „არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ“, თარგმ. მ. დეფრემერისა). ნიშნად ქართველების მიერ ყიფჩაღებთან ბრძოლისა, და მათ ძლევისა დაშთენილა საინგილოში სოფელი ყიფჩაღი, საცა ალბად წამოყვანილი ტყვეები დაასახლეს. საქართველოს მიჯნად იწოდება ხალხალი (ხილხალი) არა თუ მარტო „ქართლის ცხოვრებით“ (გვ. 272), არამედ სომეხთა ისტორიკოსების ეღიშეს მეხუთე საუკ.) და კაღანთ-კატვაწის (მეათესაუკ.) მიერაც.

გიორგი III-ს (1156—1184 წ.) მეფობაში ვკითხულობთ (ქ. ცხ. 271) ანდრონიკე კოშონიანოსს (ანდრონიკაშვილების წინაპარს) დაუდგა საჯდომნი სიახლესა საყდრისა თვისისა პირისპირ დისწულისა თვისისა აღსართანისა, რომელი მეფე იყო მოვაკანისა და შარვანისა და ზღვის პირისა დარუბანდით ხილხალამდის“.

ეღიშე (გვ. 124): „იგი შეხვდა სომხებს საქართველოს მიჯნის ახლოს სანაძებსა ქალიქ ხალხალის“.

კაღანთკატვაწი (გ. 86): „შეხვდა მათ ივერიის მიჯნებზე ხალხალის პირდაპირ, ალბანიის სამეფოს საზამთრო სადგურისა“.

დღეს, ამ ხილხალის (ხალხალის) მიჯნაზე ვართაშენს და მიდამოს ცხოვრობენ უდები, რომელთაგან მართლმადიდებელნი ქართველობენ, გრიგორიანები სომხობენ, ხოლო ზოგნიც ებრაელობენ. ამ მხრის განმანათლებ ლად ითვლება მოციქული ელისე (საინგ. 6). ამან დაარსა ეკლესია გიშს (ნუხს) და აქ იჯდა ეპისკ. გიშელი, რომელსაც საქართველოს საკათალიკოზოს იერარქიაში ეკავა მეორმოცე ადგილი. ელისეს სახელი დღესამომდე მოისმის საინგილოს უდიდეს სოფლების წოდებაში: ელისენი (ალიაბადი) და ელისო. ელისეს შემდეგ სპარსთა გავლენის გამო ჩანელდა აქ ქრისტიანობა წმ. ნინომდე და უფრო კი არჩილ მეორემდე (+718 წ.), რომელმაც მოაქცია ნუხ-პატელნი, ააგო კასრის-საყდარი კახს და მთელს ქვეყანას გიშიდამ ლაგოდეხამდე და დიდუეთ-ხუნძახამდე დაუდგინა მართველები და მოძღვრები. ბელაქანს, კატეხს, ჭარს, კახს და სხ. ჯერ ისევ თეიმურაზისა და ქეთევანის ჟამს ბრწყინავდა ქართველობასთან ერთად ქართული საყდარიც, მეტადრე ქურმუხის წმ. გიორგი, ერთი 365 გიორგთაგანი საქართველოში. ეს საყდარი თავის მდებარეობით კავკასიონიდან წამოშვერილ მაღალ ცხვირზე ამიერ-იმიერ განიმსტრობს 100—200 ვერს მანძილს.

ამ ცნობების ხელახლა გამოქვეყნება საჭიროდ ვცან დღეს, როდესაც საინგილოს შემოერთების კითხვა სრულიად მომწიფდა და ელის თავის სამართლიან გადაწყვეტას.

მ. ჯანაშვილი.

კომიტეტს მოსდის შემოწირულებანი და დახმარების მსურველთა რიცხვი დიდდება.

ახალი ამბები

✦ 22 მაისის განმავლობაში ყველა მიმართულებაზე სიწყნარე იყო.

✦ 26 მაისს დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმი და მთავრობა მიიღებენ მილოცვებს სასახლეში, დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის კაბინეთში დილის 10 საათზედ. შემდეგ 10 ს. და 15 წ. დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმი, მთავრობა და მოწვეული სტუმრები ჩამოუვლიან ჩამწკრივებულ პროცესიებს.

✦ 26 მაისის დღესასწაულზე წესრიგის საერთო ხელმძღვანელობა დაევალა დამფ. კრების წევრს გრ. გიორგაძეს. ამას გარდა კერძოთ სტადიონზე ხელმძღვანელობა დაეკისრა აკაკი ფალავას, თავისუფლების მოედანზე კოწო ანდრონიკაშვილს, გზაზე სტადიონამდე—შ. აბდულშელიშვილს. ამ დღეს წესრიგის დაცვის საქმეში ყველა ემორჩილება მთავარ ხელმძღვანელს გრ. გიორგაძეს.

✦ სტადიონზე 26 მაისს შევარდენის ტანვარჯიშობაში მონაწილეობას ღებულობს 3 ათასი ქალ-ვაჟი. სხვათა შორის შესრულებული იქნება სიმფონიური თავისუფალი მოძრაობა „საქართველოს ვარსკვლავი“.

✦ კოოპერატივის საზოგადოება „დახმარებამ“ დაადგინა ფრონტის სასარგებლოდ შესწიროს 25 ათასი მან., მიწის ძვრისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ათი ათასი მ. და სახალხო უნივერსიტეტს 5 ათასი მან.

✦ დაიბეჭდა და უკვე გამოვიდა გასასყიდათ განსვენებულ კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის თხზულებათა პირველი ნომერი „ღმერთო, ღმერთო“, რომელიც ჰიმნთა შეჯიბრებაზე საუკეთესო ნაწარმოებად იცნეს.

✦ ქართულ დრამატიულ საზოგადოების დირექციაში აირჩიეს სამი კაცი: ნ. ქართველიშვილი (დირექტორად) წევრებად აკ. ფალავა და სოლ. ახვლედიანი. ამ პირთ დაევალათ ქართულ დრამის სეზონის ხელმძღვანელობა.

✦ სასანიტარო ბაქტეროლოგიურ კურსებზე, რომელიც მოწყობილია ტფილისის საპასტერო სადგურში პროფ. ამირეჯიბის ინიციატივით, ჯერ-ჯერობით სულ 25 ექიმი ჩამოვიდა პროვინციებიდან. პრაქტიკული მეცადინეობა სწარმოებს დილით, ხოლო თეორიული საღამოობით. ლექციებს კითხულობენ: პროფესორი ამირეჯიბი და ალადაშვილი, ასისტენტები: ხათრიძე ტ ციციშვილი; ექიმები: ვირსალაძე, უვაროვი და სხვა. კურსები 25 ივნისამდე გასტანს.

✦ ფრონტის დამხმარე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა 29 და 30 მაისს ნება მიეცეს ღამის ორ საათამდის ვაჭრობის ყველა იმ გასართობ დაწესებულებათა და ბაღებს, რომელნიც წმინდა შემოსავალს გადასცემენ ფრონტის საჭიროებას, და რომელთაც წინდაწინვე უნდა განაცხადონ ამის სურვილი.

✦ ქალაქის თავმა აღუთქვა კომიტეტს, რომ ქალაქის შემოსავალი ამ გასართობებიდან შემოწირულების სახით გადაეცემა ფ რონტის დახმარების საქმეს.

✦ დღეს, სამშაბათს, საღამოს სრულ $6^1/_2$ საათზე, სასახლეში სოც.-დემ. ფრაქციის ოთახში დანიშნულია ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტისა, სხვა და სხვა ორგანიზაციებისა და კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მიმღებთა მოსურნე კერძო პირთა შეერთებული სხდომა. ამ უკანასკნელ კრებაზე უნდა გამოცხადდენ ყველა ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, ყველა ფრონტის დახმარებაში დაინტერესებული კერძო პირიც. უწყებები ცალკე მოპატიჟებით არავის არ იწვევენ. დასამტკიცებელია ფრონტის დღეების პროგრამა და გასაწესრიგებელია დიდი სამუშაო.

✦ გზათა სამინისტროს დეპარტამენტის განკარგულებით განზრახულია პირველ ივნისიდან გამოიცეს ყოველთვიური ჟურნალი ოფიციალურ და არა ოფიციალურ განყოფილებით. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ყველა გამოჩენილი სპეციალისტები— ინჟენერები და საზოგადოთ რკინის გზის საქმის მცოდნენი.

✦ გზათა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის განკარგულებით ბაქოს მიმართულებით სადგურებს უნდა დაერქვას შესაფერი ქართული სახელები. ამ მიზნით შესდგა კომისია, რომელშიც მონაწილეობის მიღება უნდა ეთხოვოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს პროფ. ივ. ჯავახიშვილს, ისტორიკოს ს. კაკაბაძეს და ეთნოგრაფს პ. ინგოროყვას.

✦ ხელოვნების კომისიასთან არსებულმა ფრონტის სადღესასწაულო კომისიამ შეაგროვა მრავალი შეწირულება და ჩუხვათ გაეგზავნებათ ყველა ფრონტისკენ და თუ რამ დარჩებათ გადაუგზავნელი დაუყონებლივ გადაეცემა ფრონტის მთავარ კომიტეტს.

✦ დღეს, 25 მაისს, საღამოს 7 ს., პირველი ვაჟთა გიმნაზიის შენობ. გაიხსნება. სრულიად საქ. მასწ. კავშირის კონფერენცია განსახილველი საგნები: 1) მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ. 2) მასწავლებელთა საპენსიო კასის წესდება. 3) მასწ. ურთიერთ დამხმარე და დამხმარეები კასის წესდება. 4) მასწ. კავშ. კოოპერატივი. 5) კავშირის გამომცემლობა. 6) მანგლისის აგარაკის შესახებ. 7) მოხსენებები ადგილებიდან. 8) მოხსენება მასწ. ორგანიზაციების მოწყობის შესახებ 9) მიმდინარე საკითხები. პროვინციიდან ჩამოსული დელეგატები მიიღებენ პურს და შაქარს ბიუროს ბინაზე (დამფ. კრ. ქუჩა № 5) დელეგატებს ღამის გასათევი ბინა ექნებათ მე 6 ვაჟთა გიმნაზიაში (ერმ. ქუჩა).

ვინც ფრონტზე აპირებს ან მიემგზავრება, უნდა შემოიაროს, რათა წაიღონ გაზეთები და საჩუქრები მეომართათვის.

ბათუმის ამბები.

საოკუპაციო ძალების გასაძლიერებლათ გუშინ-წინ მოვიდა აქ ფრანგების ჯარი, რომელიც ერთ ბათალიონზე ნაკლები არაა.

— ქალაქის მცხოვრებთა აღწერა უკვე დასრულდა. შედეგი ამგვარია: ქართველი—10.112 კაცი, რუსი (ლტოლვილებიანათ)—7.302, სომეხი—12.836 კაცი, ამ რიცხვში შედის 5.240 ლტოლვილი, ბერძენი—8.598 კაცი, მათ შორის 1.545 ლტოლვილი, ებრაელი (ლტოლვილებიანათ)—1705, ევროპის სხვადასხვა ეროვნების—1182, თურქი (ლტოლვილებით)—1834, აზიის სხვადასხვა ეროვნების—1789 კაცი, სულ ქალაქში, ამგვარათ, ითვლება 43.348 კაცი მცხოვრები.

— 25 მაისს საღამოს 5 საათზე ბათუმიდან კერჩისაკენ გადის მატორიანი ნავი „ალექსანდრე“. წაიყვანს მგზავრებსაც.

— ამ დღეებში ფოთისაკენ წავა გემი „პრინციპი“. გემზე მიიღებიან მგზავრები და წასაღები ნივთებიც.

— 20 მაისს ბათუმში მოვიდა გემი „რიონერო“ რომელმაც ფრანგი ჯარისკაცები მოიყვანა.

— 19 მაისს 5 პირისაგან საქართველოს ფრონტის სასარგებლოთ საქ. რესპ. საკონსულოში მიიღეს 5.000 მანეთი ბონი.

— 18 მაისს ქალაქის სასურსათო თვითმართველობის შენობაში სულეიმან ხუსეინოღლის ჯიბიდან ამოაცალეს 30.000 მანეთი ამიერ-კავკასიის ბონი.

— 18 მაისს მოსე ვასილის ძე შალმანის ბინიდან ბოროტ-მოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 50.000 მან.

— 18 მაისს ბერტ-სვიატსკის კანტორიდან ბოროტ-მოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები 112.000 მანეთად ღირებული.

მუნიციპალური ცხოვრება

სოღნალის ქალაქის თვითმართველობა.

უკანასკნელი დადგენილებანი: აღიძრას ქალაქთა კავშირის წინაშე შუამდგომლობა, რომ სოღნალის ქალაქის თვითმართველობას ასესხოს ხუთასი ათასი (500,000) მანეთი.

სესხის მიღება დაევალოს ქალაქის გამგეობას.

მიეცეს ჯამაგირი მილიციის უფროსის თანაშემწეს თვეში 3,500 მანეთი, უფროს მილიციონერს—3,200 მან. და უმცროს მილიციონერს—3000 მან. ერთხმათ მიღებულ იქნა პირველ მაისიდან ამ 1920 წ.

უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის ტიფონაკაშიძის მემკვიდრეებს და რომელიც მდებარეობს ქალაქ ოზურგეთში, შეიცავს მიწის ნაჭერს ზომით 1800 ოთხკუთხ საჟენს, თანახმად ქალაქის წიგნში 481 ნუმრით აღნიშვნისა, რომელიც არის შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით გვარდიის ქუჩა, დასავლეთით პირველი ყაზარმის გადასახეევი, სამხრეთით მიხელ შაფაქიძის მამული, ჩრილოეთით ევტიხი თალაკვაძის ობლების მამული და ერისთავისეული მამული, რომელიც ეხლა ქალაქს ეკუთვნის. ამ მამულზე აგებულია ორსართულიანი სახლი შერეული მასალიდგან გაკეთებული, რომელიც შეიცავს 9 ოთახს და მასთან ერთათ არის კიდევ ერთი საჯინიბე—ჩამორთმეული იქნას ხსენებული მამული თავისი შენობებით ქალაქის საზოგადო საკუთრებათ ქალაქის მეოთხე დაწყებითი სკოლის საჭიროებისათვის და მიეცეს მესაკუთრეს საფასური თანახმათ უკანასკნელი შეფასების კვალობაზე გაწერილ ხაქალაქო გადასახადისა, რომელიც შეადგენს სამას ორი ათას ოთხას მანეთს 302,400 მან., საიდანაც ოცდა ხუთი ათასი მანეთი ჩამორთმევამდე მიეცეს ჩამოსართმევ ქონების პატრონს ხოლო დანარჩენი ორას სამოცდა ჩვიდმეტი ათას ოთხასი მანეთი ჩამორთმევის დღიდან ექვსი წლის განმავლობაში, ყოველ წლივ თანასწორი ნაწილებით ასზე 6%-ზედ დართვით წლიურათ.

ა. კალანდაძის განცხადების თანახმად გამგეობამ შემდეგი პირობები წაუყენა: ალ. კალანდაძეს ფარდულისათვის ეთმობა აუცილებელი საჭირო ზომის მიწა ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს ერთი ქცევისა.

2. საიჯარო დრო განისაზღვრება ექვსი წლის ვადით.

3, საიჯარო გადასახადი მიმდინარე 1920 წელში სამი ათასი მანეთი.

4. შემდეგ წლებში საიჯარო გადასახადს არკვევს საბჭო ფულის კურსის მიხედვით.

5. საიჯარო ვადის გათავების შემდეგ უნდა მოხდეს ქალაქის და კალანდაძის შორის ახალი შეთანხმება, წინააღმდეგ შემთხვევაში ა. კალანდაძეს ეძლევა ფარდულის გადასატანათ ერთი თვე დრო, რის შემდეგ თუ ფარდული არ იქნა გადატანილი ის ფარდული რჩება ქალაქს უსასყიდლოდ სრულ საკუთრებათ.

საბჭო ხმის უმრავლესობით ღებულობს გამგეობის მიერ წამოყენებულ პირობებს სავსე-

ბით იმ დამატებით, რომ ვინაიდან ის მამული ჰქონდა დათმობილი საყანეთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს და ვინაიდან უკანასკნელმა გასწია ამ მამულზე სხვა და სხვა ხარჯები ახალი მოიჯარადრე ა. კალანდაძე ხარჯების ანაზღაურებაში შეუთანხმდეს აღნიშნულ საბჭოს და ამის შემდეგ დაიდოს ქალაქს და მოიჯარადრეს შორის შესაფერი ხელშეკრულება.

— დაეთმოს უფასოთ ს. ჯაყელს თავისუფლების ბაღში მიწა ოთხი წლის ვადით, რომელზედაც მან უნდა ააგოს შენობები, ვადის გათავების შემდეგ შენობა რჩება ქალაქს უფასოთ სრულ საკუთრებათ.

ცხოვრების გაძვირების გამო საბჭო ადგენს დღიურების რაოდენობა გადიდებულ იქნას შემდეგნაირად:

რესპუბლიკის ტერიტორიაზე 300 მანეთი დღეში და რესპუბლიკის გარეშე კი 400 მან.

სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს 1920 წლის მაისის 28 სხდომაზე დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საქმე მეჩისლავ ოვიძკის ტფილისის ქალაქის მილიციის კოოპერატივთან 66948 მანეთის თაობაზე და შეგებებული სარჩელისა.

2. საქმე ნიკოლოზ მჟედლოვის ელისაბედ მჟედლოვისასთან მართა მჟედლოვისას ანდერძის წერილის თაობაზე.

3. საქმე ავტაბ ხანუმ დელიბოზოვისას მომჩივნების კასაციური საჩივრის დაბრუნების შესახებ.

4. საქმე მარიამ მილოვისას ალექსანდრე მილოვთან 20000 მანეთის თაობაზე.

5. საქმე დავით შიუკაშვილისა შაქრო და სხვ. პაპიაშვილების მიმართ წისქვილზე მფლობელობის აღდგენისა და 1500 მანეთის ზარალის გადახდევინების თაობაზე.

6. საქმე იაგორ მენთეშაშვილის, ნიკა მენთეშაშვილთან მამულის მფლობელობის დარღვევის თაობაზე.

7. საქმე ვიქტორ შარაშიძისა საქართველოს სახაზინო რკინის გზის სამმართველოსთან 2512 მანეთის თაობაზე.

8. საქმე ლევან, დიმიტრა, ვასილ ლეჟავების თომა ბჟალავას მიმართ წისქვილის ორმოს განთავისუფლების თაობაზე.

9. საქმე ანდრია კაიშაურისა წყალობ მეზვრიშვილთან განსაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე.

10. საქმე სტეფანე ჩეგუჩოვის გიორგი ნაზარაშვილთან ნასყიდობის სიგელის გაბათილების თაობაზე.

11. საქმე აბრამ, ანდრია და სხ. ჭიტაძეებისა ხარიტონ და სხვა ჭიტაძეებთან სამედიატორო განჩინების დარღვევის თაობაზე.

12. საქმე ევგენი ჭილაძისა გიორგი იანუშეკის და სიმონ აბულაძის მიმართ 2700 მანეთის თაობაზე. (რეზოლიუციის გაანცხადება)

მილიციაში

სისხლ. სამ. მილიც. დააპატიმრა მელხისედეკ ტიმოთეს ძე ფხაკაძე, რომელსაც ბრალი ედება ივანე კოჩიაძისაგან ყალბი დეპეშით 3 ტომარა პრობკის მიღებაში, რომელიც ღირს 100.000 მან.

— პოლკ. სერგი კვანჩიხაძემ განუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ მას მოჰპარეს სპარსული ხალი, ღირებული 80.000 მან. ეჭვი აქვს პორუჩიკ ვლადიმერ ალექსანდროვზე. სისხლ. სამ. მილიციამ შეიპყრო ალექსანდროვი, რომელიც დანაშაულში გამოტყდა. ხალი მას მიუყიდია კევჩიანცისთვის 35.000 მ. უკანასკნელს მიუყიდნია ამბარცუმიანისთვის და ამასკი მამედ ალი გუსეინოღლისთვის, რომელსაც აღმოაჩნდა ხალი. მას ჩამოერთვა და პატრონს ჩაბარდა. პორუჩ. ალექსანროვი დაპატიმრებულია № 1 ციხეში.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული ლექციების წიგნაკი ნიკო ილიას ძე შაფაქიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1152 3—1

დაიკარგა პასპორტი № 16, სიმონ ბეზრუჩკოს სახელზე, მიღებული უკრაინის გენერალურ საკონსულოდან კავკასიაში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1204 3—1

დაიკარგა მოწმობა სათადარიგო ოფიცერის სიმონ ანტონის ძე ლორიასი ტფილისის სამხედრო უფროსისაგან მიცემული. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1125 5—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 147 ბიქტორ გიორგის ძე დარსაველიძის სახელზე, მიღებული დიდი ჯიხაიშის სამმართველოდან 1912 წელს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1089 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ალექსანდრე მილოვის სახლის, მდებარე მე-5 სამილიციო რაიონში დირსაჩალის შესახვევში № 7, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—3

დაიკარგა პასპორტი № 842 ავეტიქ ოგანეზას ძე გაბრიელოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1063 3—3

